სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: იანუშ ურიაში, შჩეცინის საზღვაო აკადემია, პოლონეთი

წევრები:

ქეთევან კოტეტიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; გოჩა თუთბერიძე, ევროპული სასწავლო უნივერსიტეტი

ნინო გორგოშაძე, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, შრომის ბაზრის ექსპერტი

დავით ტეფნაძე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, სტუდენტი ექსპერტი

2018

წელი

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

წინამდებარე ანგარიშის მიზანია წარადგინოს მთავარი მიგნებები სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (ბსსა) ავტორიზაციის შეფასების შემდეგ. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განათლების ხარისხის შეფასება განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით, როგორც სამუშაო განრიგის შემადგენელი ნაწილი. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის შეფასება მეორეჯერ შეასრულა. უნივერსიტეტი ახალი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად პირველად შეფასდა.

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია არის საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უკვე ცხრა ათწლეულზე მეტია უზრუნველყოფს საზღვაო განათლების მიღებას ქალაქ ბათუმში. გასულ წლებში აკადემიას განსხვავებული სტატუსი ჰქონდა. 2005 წელს აკადემიამ მოიპოვა ამჟამინდელი სამართლებრივი სტატუსი უმაღლესი განათლების დაწესებულების კანონმდებლობის შესაბამისად - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის N184 განკარგულებით - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია), დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის შემდგომი N228 განკარგულებით: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

ამჟამად, აკადემია შედგება ორი ფაკულტეტისგან: საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი და ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი. აკადემიაში 9 საბაკალავრო და 5 სამაგისტრო პროგრამაა, რომლებზეც 2110 სტუდენტი სწავლობს. აკადემია კურსდამთავრებულებისთვის უზრუნველყოფს საზღვაო გადაზიდვის პროგრამებს მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების საერთაშორისო კონვენციის (STCW) შესაბამისად და სხვა პროგრამებს საზღვაო და ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური გარემოსთვის.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტი მომზადდა და განხორციელდა შესაბამისი პროცედურის დაცვით. ვიზიტი, შესაბამისი პროცედურის დაცვით, განხორციელდა 2018 წლის 15-17 მაისს. ვიზიტის განმახორციელებელმა ჯგუფმა განიხილა აკადემიის ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიში. ვიზიტი ბსსა-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრით დაიწყო. შემდგომი ვიზიტი განხორციელდა შეთანხმებული პროგრამის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები შედგა: 1) სენატის წევრებთან; 2) თვითშეფასებისა და სტრატეგიული განვითარების ჯგუფთან; 3) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურთან; 4) იურიდიულ და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტთან; 5) ბსსა-ს ფაკულტეტების დეკანებთან; 6) დეპარტამენტების უფროსებთან; 7) პროგრამების ხელმძღვანელებთან; 8) აკადემიურ პერსონალთან; 9) მოწვეულ სასწავლო პერსონალთან; 10) სტუდენტებთან; 11) საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან და უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურთან; 12) მეზღვაურთა საზღვაო, საწრთვნელ და სერტიფიცირების ცენტრთან; 13) დამსაქმებლებთან, სხვა შესაბამის დაინტერესებულ პირებთან და კურსდამთავრებულებთან. გარდა ამისა, ჯგუფმა განიხილა შერჩეული სადიპლომო ნაშრომები, დიდაქტიკურ პროცესში გამოყენებული დიდაქტიკური და სოციალური მონაცემთა ბაზები. და ბოლოს, შემფასებელმა ჯგუფმა განიხილა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მატერიალური რესურსები. დახურულ შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიმოიხილა და მოკლედ შეაფასა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის სტანდარტები; წარდგენილი იყო მთავარი კომენტარები და რეკომენდაციები. შეფასების შედეგად, თითოეული სტანდარტისთვის, გამოვლინდა გარკვეული რაოდენობის რეკომენდაციები თუ რჩევები. ბსსა ინარჩუნებს თავის

ტრადიციებს და იმავდროულად ცდილობს დააკმაყოფილოს ახალი მოთხოვნები, თუმცა ახალი გამოწვევების საპასუხოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას და ფინანსურ თუ მატერიალურ შესაძლებლობებში ბსსა უფრო მეტად თანმიმდევრული უნდა იყოს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის შეფასება პირველად განახორციელა ახალი, შვიდი სტანდარტის შესაბამისად. თითოეული სტანდარტი შეფასდა დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი დოკუმენტაციის გამოყენებით და პერსონალთან, დაინტერესებულ პირებთან ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით.

საერთო ჯამში, ავტორიზაციის შეფასება ადასტურებს, რომ ბსსა-ს შეუძლია მის მიერ გათვალისწინებული პროგრამების უზრუნველყოფა. ბსსა-ს აქვს უნარი შეინარჩუნოს განათლების სათანადო კულტურა, განათლების ხარისხი, აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით გააჩნია საკმარისი რესურსი, ინფრასტრუქტურა და სასწავლო მასალები. ბსსა-მ მოამზადა და უზრუნველყო ყველა საჭირო დოკუმენტაცია და პროცედურა ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის, პერსონალს გააზრებული ჰქონდა ავტორიზაციის მნიშვნელობა და მათი უმრავლესობა ჩართული იყო თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში. შვიდი სტანდარტიდან სამი შეფასდა როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ხოლო ოთხი შეფასდა როგორც - "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

რეკომენდაციები

ვიზიტის განმახორციელებელმა ჯგუფმა, რომელიც მოქმედებდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით, შეიმუშავა რეკომენდაციები ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ზოგადი მუშაობის კუთხით. აკადემიისთვის რეკომენდებულია:

1. სტანდარტი 1:
   ა. აკადემიის მისია თანმიმდევრული უნდა იყოს მის ზომასთან, შეთავაზებულ პროგრამებთან და მუშაობის რეალურ შესაძლებლობებთან.
   ბ. ყველა შიდა დაინტერესებული პირი ინფორმირებული იყო სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე.
2. სტანდარტი 2:
   ა. დაყავით აკადემიური და ადმინისტრაციული ფუნქციები ისეთ ორგანიზაციულ სტრუქტურად, რომელიც გააუმჯობესებს აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ეფექტურობას,
   ბ. შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი დოკუმენტი რისკის მართვაზე, რომელიც გახდება რისკის მართვის ეფექტური სისტემის დამკვიდრების საფუძველი,
   გ. უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღება დაუთმოს კვლევითი კომპონენტის შეფასებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს.
3. სტანდარტი 3:

ა. პროგრამების შემუშავებაში ჩართეთ მეტი სტუდენტი და გაითვალისწინეთ მათი ინტერესი ინგლისური ენის სწავლების კუთხით.

ა. შეიმუშავეთ და დაამკვიდრეთ ისეთი პროცედურა საზღვაო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტისთვის, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელი უნარების განვითარებას,

ბ. იფიქრეთ საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურ ენაზე ჩატარებაზე ან არჩეულ საგნებზე,

გ. მიუთითეთ პროგრამების დასახელებები და სილაბუსები როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

4. სტანდარტი 4:
   ა. დაამკვიდრეთ სპეციალური რეგულაცია მოწვეული სასწავლო პერსონალის შეფასებისთვის,

ბ. დაამკვიდრეთ პერსონალის შეფასების შემდგომი კონტროლი, გაანალიზეთ სისტემა და უკუკავშირი, რომლითაც ანგარიში ბარდება მენეჯერებს პროცედურების შესახებ,

გ. პერსონალის მომზადების დაგეგმვისას გამოიყენეთ უფრო სისტემური მიდგომა,

დ. შეიმუშავეთ სპეციალური წესი დამატებითი თანამდებობების ფუნქციების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრისას, ისეთ პოზიციებზე როგორიცაა, პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასევე დეკანები და მათი შეფასების პროცედურები,

ე. გადახედეთ და შეასწორეთ წესი "აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების სამუშაო დატვირთვისა და ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ" და დაამკვიდრეთ სტუდენტთა აკადემიური ჯგუფის ზუსტი რაოდენობა, რაც წარმოადგენს სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს,

ვ. გადახედეთ და შეასწორეთ წესი "აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ" და განსაზღვრეთ უფრო კონკრეტული და ზუსტი სამიზნე ნიშნულები აკადემიური პერსონალის საჭირო რაოდენობის გამოსათვლელად, სხვადასხვა ტიპის თანაფარდობაზე დამყარებით,

ზ. შეიმუშავეთ და განახორციელეთ აკადემიური პერსონალის სამოტივაციო სისტემა მათი წახალისების მიზნით, განსაკუთრებით კი სამეცნიერო საქმიანობის კუთხით,

თ. შეიმუშავეთ და განახორციელეთ ახალი თაობის მოზიდვის პოლიტიკა, როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევით პროცესებში.

5. სტანდარტი 5:

ა. მოამზადეთ კითხვარი, რომელიც გამოიყენება კვლევაში, რათა მიიღოთ უფრო მიახლოებითი სურათი კურსდამთავრებულთა დასაქმების კოეფიციენტის შესახებ. ამ დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს კონტაქტი თავის კურსდამთავრებულებთან და უკუკავშირის მოთხოვნა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის სავალდებულო უნდა იყოს და არა არჩევითი.

6. სტანდარტი 6:

ა. შეიმუშავეთ სასწავლო პროცესში მაგისტრანტების დახმარების სტრატეგია, რადგან ისინი მოქმედი მეზღვაურები არიან და საჭიროებენ ინდივიდუალურ პროგრამებს,

ბ. შეიმუშავეთ სტრატეგია, რომელიც შესაძლებელს გახდის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვას კვლევით პროექტებში, სამაგისტრო ნაშრომებზე ეფექტური ზეგავლენის მიზნით.

7. სტანდარტი 7:

ა. ბიბლიოთეკის პერსონალი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უნდა აწვდიდეს მეტ ინფორმაციას საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკების და მათი გამოყენების წესების შესახებ, მანამდე კი უმჯობესი იქნება, თუკი ბიბლიოთეკის პერსონალი გადამზადებას გაივლის ამ სფეროში,

ბ. აკადემიური ბიუჯეტი პრიორიტიზირებული უნდა იყოს აკადემიური და კვლევითი საქმიანობისთვის.

რჩევები

ვიზიტის განმახორციელებელმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რჩევები ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის, მისი გაუმჯობესების მიზნით. აკადემიას ვურჩევთ:

1. სტანდარტი 1:

ა. ყველა შიდა დაინტერესებული პირი ინფორმირებული იყოს სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე,

ბ. უზრუნველყავით, რომ სტრატეგიული გეგმა თანმიმდევრულია აკადემიის მისიასთან მიმართებაში,

გ. დარწმუნდით, რომ გამოქვეყნებული მისია ყველა დოკუმენტსა და უცხოენოვან ვერსიებში ერთმანეთისგან არ განსხვავდება,

დ. გაუმჯობესეთ დაგეგმვის პოლიტიკა და გადახედეთ გეგმებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ მდგრადობა ყოფილ და სამომავლო გეგმებსა თუ აქტივობებში,

ე. უნდა გაუმჯობესდეს დაგეგმვის მექანიზმი, პოლიტიკა და მიმოხილვა, რათა შენარჩუნდეს ყოფილი და სამომავლო გეგმებისა და აქტივობების მდგრადობა. აკადემიისთვის სასარგებლო იქნება SWOT-ანალიზი,

ვ. სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზები განხილვის საგანი უნდა იყოს, რადგან სტატუს-შეჩერებული სტუდენტების მაღალმა რაოდენობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს აკადემიის მდგრად განვითარებაზე.

2. სტანდარტი 3:

ა. იფიქრეთ საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურ ენაზე ჩატარებაზე ან არჩეულ საგნებზე,

ბ. მიუთითეთ პროგრამების დასახელებები და სილაბუსები, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე.

3. სტანდარტი 5:

ა. სტუდენტები უნდა იყვნენ კარგად ინფორმირებულები საგანმანათლებლო პროცესის, თავიანთი ვალდებულებების, მოვალეობების, პასუხისმგებლობის, როლისა და უფლებების შესახებ.

4. სტანდარტი 7:

ა. გაზარდეთ ქართულენოვანი დარგობრივი სახელმძღვანელოების რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკები

ვიზიტის განმახორციელებელი ჯგუფი ხაზს უსვამს ფიზიკური ინფრასტრუქტურის გამოყენების კარგ პრაქტიკას, როგორიცაა სატრენინგო გემი, სიმულაციები, ვორქშოფები სწავლის შედეგების უზრუნველყოფაში. ეს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დამკვიდრებული სტანდარტებისა და რეკომენდაციების დაკმაყოფილების მაგალითია - ამ შემთხვევაში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სტანდარტების.

შემაჯამებელი ცხრილი

	Standard	Complies with requirements	Substantially complies with requirements	Partially complies withrequirements	Does not Comply with requirements
1.	**Mission and strategic development of HEI**	☒	☐	☐	☐
1.1	Mission of HEI	☐	☒	☐	☐
1.2	Strategic development	☒	☐	☐	☐
2.	**Organizational structure and management of HEI**	☐	☒	☐	☐
2.1	Organizational structure and management	☐	☒	☐	☐
2.2	Internal quality assurance mechanisms	☐	☒	☐	☐
2.3	Observing principles of ethics and integrity	☒	☐	☐	☐
3.	**Educational Programmes**	☐	☒	☐	☐
3.1	Design and development of educational programmes	☐	☒	☐	☐
3.2	Structure and content of educational programmes	☐	☒	☐	☐
3.3	Assessment of learning outcomes	☒	☐	☐	☐
4	**Staff of the HEI**	☐	☒	☐	☐
4.1.	Staff management	☐	☒	☐	☐
4.2.	Academic/Scientific and invited Staff workload	☐	☒	☐	☐
5	**Students and their support services**	☒	☐	☐	☐
5.1.	The Rule for obtaining and changing student status, the recognition of education, and student rights	☒	☐	☐	☐
5.2	Student support services	☐	☒	☐	☐
6	**Research, development and/or other creative work**	☐	☒	☐	☐
6.1.	Research activities	☐	☒	☐	☐
6.2.	Research support and internationalization	☐	☒	☐	☐
6.3.	Evaluation of research activities	☐	☐	☒	☐
7	**Material, information and financial resources**	☐	☒	☐	☐
7.1	Material resources	☒	☐	☐	☐
7.2.	Library resources	☐	☒	☐	☐
7.3	Information resources	☒	☐	☐	☐
7.4	Financial resources	☐	☒	☐	☐

Janusz Uriasz (chair)

Ketevan Kotetishvili (member)

Gocha Tutberidze (member)

Nino Gorgoshadze (member)

Davit Tepnadze (member)

დაწესებულების
სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი
ცხრილი

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ შეადგინა თავისი მისია. მისიის მთავარი მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული. მისია განსაზღვრავს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მთავარ მახასიათებლებს განათლებისა და საქართველოს საზღვაო ეკონომიკაში. იგი ორიენტირებულია საქართველოს საზღვაო ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერაზე, მაღალ-კვალიფიციური პერსონალისა და ლიდერების მომზადებაზე საზღვაო ინდუსტრიისა და მომიჯნავე დარგებისთვის, ასევე საგანმანათლებლო და მოსამზადებელი პროგრამების უზრუნველყოფაზე, სწავლა-სწავლებასა და კვლევაში თავისუფლების პრინციპების განვითარებაზე, საზღვაო ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან ეროვნული და საერთაშორისო კომუნიკაციების დამკვიდრებითა და შენარჩუნებით . მისია გამოქვეყნებულია, შიდა და გარე დაინტერესებული პირები ინფორმირებულები არიან ბსსა-ს მისიის შესახებ. იგი სწორედ მათი მხარდაჭერით შეიქმნა. მისია შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებს. აკადემია აცნობიერებს თავის არსებით როლს საქართველოსა და რეგიონულ ეკონომიკურ გარემოში. აკმაყოფილებს საბაზრო მოლოდინებს. თუმცა, მისიაში დასახელებული ზოგიერთი მიზანი არარეალისტურია. მისიაში დაკონკრეტებული პირველი მიზანი გულისხმობს საქართველოს საზღვაო ეკონომიკის ევროპულ ეკონომიკურ სივრცესთან ინტეგრაციის მხარდაჭერას და საქართველოს წამყვან საზღვაო ქვეყნად ფორმირებას, რაც არ არის მორგებული აკადემიის მოცულობაზე და არ წარმოადგენს რეალურ სამოქმედო შესაძლებლობას. ინტერნაციონალიზაცია დაბალ დონეზეა, მასწავლებლები უფრო მეტად ორიენტირებული არიან ძირითად დიდაქტიკურ ვალდებულებებსა და პროფესიულ საზღვაო პრაქტიკებზე ვიდრე კვლევებზე. მათი დიდაქტიკური სამუშაო დატვირთვა მაღალია, ინფრასტრუქტურა და ფინანსური რესურსები კი შეზღუდული. აკადემიას არ გააჩნია საკმარისი შესაძლებლობა იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს საქართველოს, როგორც წამყვან საზღვაო ქვეყნად ჩამოყალიბებას. მისია უნდა შედგეს და გაზიარდეს ისე, რომ ყველა დაინტერესებული პირი და აკადემიის სრული პერსონალი, თავისი ძალისხმევით იღვწოდეს რეალისტური მიზნებისკენ და არა ფიქტიურისკენ. შემფასებელმა ჯგუფმა ასევე შენიშნა განსხვავებები მისიის სხვადასხვაენოვან ვერსიებში, ნაბეჭდ ასლებსა და ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ვერსიაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. მისიის ხილვა შესაძლებელია ბსსა-ს ვებ-გვერდზე http://www.bsma.edu.ge/main/page/2-5/index.html. 2. ინტერვიუ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობასთან, სენატის წევრებთან და თვითშეფასებისა და სტრატეგიული განვითარების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: აკადემიის მისია თანმიმდევრული უნდა იყოს მის ზომასთან, შეთავაზებულ პროგრამებთან და მუშაობის რეალურ შესაძლებლობებთან.
რჩევები: გამოქვეყნებული მისია არ უნდა განსხვავდებოდეს სხვადასხვა დოკუმენტსა და სხვადასხვაენოვან ასლში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ შეადგინა თავისი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის, ბსსა-ს წესდების, ასევე "სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგიის" შესახებ შიდა ნორმატიული დოკუმენტისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე. განვითარების გეგმა განისაზღვრა 2018-2024 წლების პერიოდისთვის და დამტკიცდა 2018 წლის 14 მარტს, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის მიერ. სტრატეგიული განვითარების გეგმა აგებულია იმ პრიორიტეტებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ბსსა-ს სტუდენტებისა და სხვა მსმენელების სწავლების, აკადემიური მოსწრებისა და დასაქმების საფუძველს.

შემფასებელი ჯგუფის რჩევაა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა და სხვა შესაბამისი აქტები/დოკუმენტები იყოს თანმიმდევრული მის წინამორბედთან ან ცვლილებების ასახვა უნდა იყოს წარმოდგენილი/გამართლებული. დეტალების გათვალისწინებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხედვა შეიცვალა. თუკი ადრე ეს იყო აკადემიის საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად გარდაქმნა, დღევანდელი ხედვაა აკადემია იქცეს შავი და კასპიის ზღვის რეგიონის წამყვან საგანმანათლებლო ცენტრად. ეს მოხდა 2018 წელს და ცვლილება განხორციელდა ასახვის გარეშე.

ბსსა-ს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ხელს უწყობს არამხოლოდ აკადემიის განვითარებას, არამედ რეგიონისა და საქართველოს განვითარებასაც. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წვლილი საზოგადოების განვითარებაში აღიარებულია. იგი დაარქივებულია საზღვაო ინდუსტრიისთვის კურსდამთავრებულების უზრუნველყოფით, მაღალი დონის პროფესიონალი აკადემიური პერსონალის აყვანით, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციურ საგანმანათლებლო მომსახურებას, საგანმანათლებლო კონცეფციების ინტერნაციონალიზაციით, ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციების გაზიარებით.

ბსსა-ს მისიაში ერთ-ერთ მთავარ მიზნად სახელდება საქართველოს მხარდაჭერა, რათა იგი გახდეს წამყვანი საზღვაო ქვეყანა. სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა პასუხობდეს მისიას და ასრულებდეს აღნიშნულ მიზანს. ორივე დოკუმენტის შედარების საფუძველზე, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სტრატეგიული განვითარების გეგმისა და მისიის თანმიმდევრულობა, რადგან ზემოთ აღნიშნული მიზანი ზედმეტად ამბიციური ჩანს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რეალური შესაძლებლობების ფონზე.

დადებითი ფაქტია, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ შეადგინა სტრატეგიული გეგმები (13), რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების დეტალური შეფასების საშუალებას იძლევა. თითოეული მიზნისთვის განისაზღვრა რამდენიმე ამოცანა. განვითარების გეგმას ამყარებს საფინანსო გეგმა - სამწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმას აქვს მკაფიო და კარგად განსაზღვრული ამოცანები და ბიუჯეტი.

დაგეგმილია სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზების პროცესი. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვიზიტის განმახორციელებელი ჯგუფის რჩევაა, რომ ყველა შიდა დაინტერესებულმა პირმა იცოდეს სტრატეგიული განვითარების გეგმის დეტალები და ცვლილებები, მათი როლი ამ გეგმაში, ის დავალებები, რომლებიც უნდა შეასრულონ და მათზე შესაძლო გავლენები. ვიზიტის განმავლობაში, შემფასებლების ჯგუფი შეხვდა შიდა დაინტერესებული პირების წარმომადგენლებს. როგორც გაირკვა, ყველა არ იცნობდა სტრატეგიულ გეგმას. მაგალითად, ზოგიერთი მიღებული ფაქტორი, რომელიც უკავშირდება აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის თანაფარდობას, რისი მიღწევაც დაგეგმილია, საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას იმისათვის რომ შესრულდეს გეგმის შესაბამისად. ეს (დაგეგმილი) ქმედებები უნდა გაუზიაროთ პერსონალს, მათი გავლენის ჩათვლით, რათა თავიდან აიცილოთ გაუგებრობა ან შიდა წინააღმდეგობა. ეს უნდა დაგეხმაროთ დაგეგმილი მიზნების მიღწევაში. სტრატეგიული გეგმის რეალიზებამ შესაძლოა გააძლიეროს შიდა დაინტერესებული პირების როლი. მაგალითად, გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიისათვის სამომავლო შესაძლო საფრთხეების შემცირება. ვიზიტის განმახორციელებელმა ჯგუფმა შენიშნა სტუდენტების სტატუსის შეჩერება, რაც გაკრვეული მიზეზების გამო მიიჩნევა სპეციფიურ, თუმცა ნორმალურ გარემოებად. შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების 40%-იანი მაჩვენებელი ძალიან მაღალია აკადემიის მდგრადი განვითარებისთვის.

სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზების პროცესს ამყარებს განრიგი, რომელშიც კონკრეტული მიზნების მიღწევის საბოლოო ვადები და დაგეგმილი ხარჯები არის გაწერილი. შემუშავდა SWOT-ანალიზი, რაც წაადგება განვითარების გეგმის წარმატებულ შესრულებას. ეს ქმნის ურთიერთდამაკავშირებელ მიდგომას. თუმცა, ძლიერი მხარეების, სისუსტეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი შედგება ფაქტების ჩამონათვალისგან. უმჯობესი იქნებოდა თუკი შეფასდებოდა და წარმოდგენილი იქნებოდა შესაძლო მიღწევები, აღნიშნული (დადებითი) ფაქტების გამოყენება ან

(უარყოფითი) ფაქტების თავიდან აცილებისა და პრევენციის გზები. შესაბამისად, ისე ჩანს, რომ სტრატეგიის დაგეგმვის მეთოდოლოგია ჩასწორებას საჭიროებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ინტერვიუ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობასთან, სენატის წევრებთან და თვითშეფასებისა და სტრატეგიული განვითარების ჯგუფთან. **2.** სტრატეგიული განვითარების გეგმა ხელმისაწვდომია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ვებგვერდზე: http://www.bsma.edu.ge/main/page/2-7/index.html.
რეკომენდაციები:
რჩევები: 1. ყველა შიდა დაინტერესებული პირი ინფორმირებული იყოს სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე, 2. უზრუნველყავით, რომ სტრატეგიული გეგმა თანმიმდევრული იყოს აკადემიის მისიასთან, 3. უნდა გაუმჯობესდეს დაგეგმვის მექანიზმი, პოლიტიკა და მიმოხილვა, რათა შენარჩუნდეს ყოფილი და სამომავლო გეგმებისა და აქტივობების მდგრადობა. აკადემიისთვის სასარგებლო იქნება SWOT-ანალიზი, 4. სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზები განხილვის საგანი უნდა იყოს, რადგან სტატუს-შეჩერებული სტუდენტების მაღალმა რაოდენობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს აკადემიის მდგრად განვითარებაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
  უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტრუქტურა უზრუნველყოფს აკადემიის მიზნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმებს. აკადემიური ხელმძღვანელობა: აკადემიის რექტორი, სენატი, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რექტორი სენატის თავმჯდომარეა. აკადემიაში რექტორის თანამდებობა არ არის არჩევითი. მას თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. სენატი არის კოლეგიური წარმომადგენელი და მმართველი ორგანო, რომელიც შედგება რექტორისგან, რექტორის მოადგილეებისგან, გარდა პირველი მოადგილეებისა დაწყებითი განათლების ერთეულების ხელმძღვანელებისგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისგან, სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან და ფაკულტეტის საბჭოების ორი წარმომადგენლისგან. ფაკულტეტის საბჭოები ირჩევა ფაკულტეტის საბჭოების მიერ სენატში 1 წლის ვადით.

აკადემიის მენეჯმენტის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, განახლდა აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა, შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები. შესაბამისად, შემუშავდა ახალი სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების/დეპარტამენტების) დებულებები.

ახალი სტრუქტურის პირობებში, განისაზღვრა კომპეტენციები და გამოირიცხა ფუნქციათა გამეორება.

სენატის ფუნქციები მოიცავს წესდების ადმინისტრაციულ და აკადემიურ საქმიანობებს. სენატის წევრები არიან ადმინისტრაციული თანამდებობის პირები. შედეგად, არსებული სტრუქტურა არ იძლევა ადმინისტრაციული ფუნქციების აკადემიური ფუნქციებიდან განსაზღვრას. ინტერვიუს დროს, აკადემიის ხელმძღვანელობამ განგვიმარტა, რომ აკადემია არის ორმაგად დაქვემდებარებული დაწესებულება, იგი ანგარიშვალდებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წინაშე.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მმართველ ორგანოებში შერჩევის/დანიშვნის პროცედურები დამტკიცებულია, ისინი არის გამჭვირვალე და შეესაბამება რეგულაციებსა და აკადემიის მოქმედ კანონმდებლობას.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის ორმაგი მიდგომით. მას აქვს ერთი დეპარტამენტი, რომელიც ხელმძღვანელობს "აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფას" და ერთი ერთეული, რომელიც ხელმძღვანელობს ადმინისტრაციულ სისტემებსა და პროცესებს. საზღვაო აკადემიის ISO 9001:2015 სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2017 წლის 21 აპრილს განხორციელდა სერტიფიცირების აუდიტი. 2015 წლის 25 მაისს, საზღვაო აკადემიას მიენიჭა ISO 9001:2015 სისტემასთან შესაბამისობის სერტიფიკატი No. 16.0345.0216 გადაწყვეტილების საფუძველზე.

აკადემია მმართველობაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის ელექტრონულ სისტემას. აკადემიას ასევე გააჩნია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა. აკადემიამ დაიწყო მუშაობა რისკების მართვის სრული სისტემის შესაქმნელად, თუმცა ეს ბოლომდე არ არის განხორციელებული.

აკადემია აღიარებს საზღვაო და მომიჯნავე ინდუსტრიების საერთაშორისო/გლობალურ წვდომას და, რომ მას უნდა გააჩნდეს საერთაშორისო დონეზე ორიენტირებული უნარები, ცოდნა და საერთაშორისო ხასიათის კომპეტენციები, იმისათვის რომ მიაღწიოს საუკეთესო სტუდენტურ შედეგებს. ეს აისახება დაწესებულების ძალისხმევაში: გაზარდოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის შესაძლებლობები, რათა მათ სარგებელი ნახონ განათლების საერთაშორისო განზომილებიდან; შეიმუშაოს პარტნიორობა (გამოყენებით კვლევასთან ერთად) მსგავს საერთაშორისო დაწესებულებებთან; გააძლიეროს პარტნიორობა წამყვან საერთაშორისო დაწესებულებებთან და ბიზნესებთან; გაზარდოს საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა. აკადემია ხელს შეუწყობს შესაძლებლობებს სტუდენტებისთვის, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, ისწავლონ საზღვარგარეთ, დაეუფლონ უცხო ენას და მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბსსა-ს სტრუქტურა http://bsma.edu.ge/main/page/2-40/index.html;
2. ბსსა-ს წესდება http://bsma.edu.ge/upload/wesdeba_.pdf;
3. სტრატეგიული განვითარების გეგმა http://bsma.edu.ge/upload/ganvitarebis_strategiuli_gegma2018.pdf
4. ინტერვიუ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობასთან, სენატის წევრებთან და თვითშეფასებისა და სტრატეგიული განვითარების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

1. ხელმძღვანელობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, აკადემიამ უნდა დაყოს აკადემიური და ადმინისტრაციული ფუნქციები ორგანიზაციულ სტრუქტურებად, რომლებიც გააუმჯობესებს აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ეფექტურობას.
2. აკადემიამ უნდა შეიმუშავს ყოვლისმომცველი დოკუმენტი რისკის მართვის შესახებ, რომელიც გახდება რისკის მართვის ეფექტური სისტემის დამკვიდრების საფუძველი.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ მუშაობასა და სისტემის განვითარებაზე. იმავდროულად, აკადემია, როგორც საზღვაო განათლების დაწესებულება, უნდა დაექვემდებაროს ხარისხის მართვის სერტიფიცირებას, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მფარველობის ქვეშ მიღებული კონვენციების მოთხოვნების მხედველობაში მიღებით. ISO 9001 სტანდარტი შემოღებულია 2001 წლიდან, რათა ხელი შეუწყოს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ISO 9001 სტანდარტის სპეციფიურობის გათვალისწინებით, ISO სტანდარტი პასუხისმგებელია სისტემის განახლებასა და მისი ეფექტურობის შენარჩუნებაზე. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებული მუშაობა, PCDA მენეჯმენტ სისტემის მეშვეობით, ქმნის აკადემიის მდგრადი განვითარების წინაპირობას.

ხარისხის უზრუნველყოფა შეიმუშავებს საგანმანათლებლო, მოსამზადებელი, აკადემიური პერსონალის შეფასების მეთოდოლოგიას, მონიტორინგს, შეიმუშავებს შეფასების ინდიკატორებს, კრიტერიუმებს, ხელსაწყოებს, რჩევებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს უწყობს შუალედური და საბოლოო ანალიზის შეფასების, დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესებს, ასევე სწავლა-სწავლების პროცესებს, მონიტორინგისა და განვითარებისთვის.

ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანი აკადემიაში წარმოადგენს ISO 9001:2015 სტანდარტის განხორციელებას და შესაბამისად ხელმძღვანელობის ხარისხის გაუმჯობესებას.

მთავარ საგანმანათლებლო დაწესებულებას - ფაკულტეტს- აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

აკადემია ჩართულია იმ საერთაშორისო პროგრამებში, რომლებიც ხელს უწყობს ხარისხის სისტემის საერთაშორისო გამოცდილებას და ამკვიდრებს საერთაშორისო პრაქტიკებს აკადემიაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სხვადასხვა გამოკითხვებს წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის ფორმები მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამები, კმაყოფილება სწავლის შედეგებით, მართვის პროცესები, ინფრასტრუქტურა, აკადემიური პერსონალი, მატერიალური ბაზა და ა.შ. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, ადმინისტრაცია ცდილობს განავითაროს ნეგატიურად შეფასებული სეგმენტები.

2017 წლამდე აკადემიას არ ჰქონდა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდი.

აკადემიამ შეიმუშავა შეფასებისა და გაუმჯობესების ხელსაწყოები საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებიც აქტიურად ჩართულია აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების, ასევე გარე დაინტერესებული პირების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) საქმიანობის განხორციელებაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს საგანმანათლებლო კომპონენტზე და ნაკლები ყურადღება ეთმობა კვლევითი კომპონენტის შეფასებასა და განვითარებას. აკადემიის ხარისხის დეპარტამენტი ახლა იწყებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მონიტორინგს, ასევე აკადემიაში სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის კონტროლს. შესაბამისად, ამ ეტაპზე რთულია აღნიშნული მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. ძველი შეფასების სისტემაში არსებული ჩავარდნები, მნიშვნელოვნად შევსებულია რეგულაციის ახალი პირობებით, როგორიცაა სამოქმედო გეგმის შემუშავება აკადემიური წლისთვის და თვითშეფასების შემუშავება აკადემიური წლის ბოლოსთვის. ეს უკანასკნელი ექვემდებარება შემოწმებასა და შეფასებას უფლებამოსილი კომისიის მიერ, წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სტუდენტის კვოტის განსაზღვრის კრიტერიუმებს: საგანმანათლებლო პროგრამების მახასიათებლები, კონტენტი, ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა, მობილობის დინამიკა, საერთაშორისო გამოცდილება და სხვა, რაც გავლენას ახდენს საგანმანათლებლო სერვისის ხარისხზე.

აკადემიაში, გარდა ხარისხის უზრუნველყოფის ფორმალური მექანიზმებისა, არაფორმალური ელემენტების კარგი პრაქტიკაც გვხვდება. საგანმანათლებლო სამუშაოების შეფასების მიზნით, აკადემია რეგულარულად იწვევს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებსა და ექსპერტებს, ორგანიზებას უწევს შედეგების მონიტორინგს/აუდიტს, რაც გამოიყენება არსებული ვითარების ანალიზისთვის და განვითარების მიმართულების დასადგენად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სტრუქტურული ერთეულების დებულება
   სენატის 2018 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება N5/6 "სასწავლო/აკადემიური დეპარტამენტის დებულების
   დამტკიცების შესახებ";
2. ხარისხის პროცედურები:
   - სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N3/2 "ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პოლიტიკის დამტკიცებაზე ხარისხის სფეროში"; http://bsma.edu.ge/upload/Quality%20Policy%202018%20Geo.PDF
   - სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N3/2 "ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პოლიტიკის დამტკიცებაზე ხარისხის მიზნებისა და პასუხისმგებლობების სფეროში" http://bsma.edu.ge/upload/Quality%20Objectives%202018%20Geo.PDF
   - სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N3/2 "ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხარისხის სახელმძღვანელოების დამტკიცების შესახებ" http://bsma.edu.ge/upload/Quality%20Manual%20-%202018.pdf
   - რისკების მართვის პროცედურა, თებერვალი 8, 2017; http://bsma.edu.ge/upload/risk%20management%20O.pdf
3. ინტერვიუ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობასთან, სენატის წევრებთან და თვითშეფასებისა და სტრატეგიული განვითარების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს კვლევითი კომპონენტის შეფასებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

საზღვაო აკადემიაში პერსონალის საქმიანობას აწესრიგებს წესდება, შინაგანაწესი, პერსონალის მართვის პოლიტიკა, ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის რეგულაციები. მოცემული რეგულაციები განსაზღვრავს პერსონალისა და სტუდენტების საგანმანათლებლო დაწესებულებების ადეკვატური ქცევის წესს, რაც ხელს უწყობს აკადემიის საქმიანობას და სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვას.

რეგულაციებში, დისციპლინური პასუხისმგებლობის რეგულაციებსა და ეთიკის კოდექსში არის პლაგიატის დადგენის, მასზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობაში მიცემის მექანიზმები. ამ ეტაპზე აკადემია არ იყენებს პლაგიატის საწინააღმდეგო ელექტრონულ პროგრამას, თუმცა ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს უახლოეს მომავალში აკადემიური თაღლითობის გამოვლენის ელექტრონული პროგრამის ინტეგრირებას. 2018 წლის 4 აპრილს სენატმა მიიღო პლაგიატის

პრევენციისა და მასზე რეაგირების წესები, რომლითაც შეჯამდა არსებული პრაქტიკა. კერძოდ, ყველა პირობა დამკვიდრებული პრაქტიკის ფორმით განხორციელდა. სენატის მიერ მიღებული წესი შეიცავს პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობას, რომ მან ჩაატაროს საინფორმაციო კამპანია პლაგიატზე, გამოავლინოს შემთხვევები, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და გააანალიზოს შედეგები. ეს წესი ითვალისწინებს ძველი პლაგიატის გამოსავლენ ზომებს, მიუთითებს რა სტუდენტებისა თუ აკადემიური პერსონალის პლაგიატის შედეგებს. პლაგიატის პრევენციაზე, მის გამოვლენასა და მასზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორის მოადგილე. წელს აკადემიამ შეიმუშავა მიდგომები, რომლითაც დაცულია აკადემიური თავისუფლების პრინციპების რეალიზება და განვითარება. აკადემიური თავისუფლების პრინციპები და მისი დაცვის ძირითადი პირობები გათვალისწინებული იყო შინაგანაწესში. ინფორმაცია ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საჯაროდ ხელმსაწვდომია აკადემიის ვებგვერდზე: http://bsma.edu.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N3/4 შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ. http://bsma.edu.ge/upload/O02.pdf 2. სენატის 2018 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N1/3 ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ. http://bsma.edu.ge/upload/Ethics.pdf 3. სენატის 2018 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N1/3 "დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების" დამტკიცებაზე. http://bsma.edu.ge/upload/disciplinuri_warmoebis_wesi.pdf 4. კომისიის შეხვედრების პროტოკოლი და რექტორის ბრძანება დისციპლინური პასუხისმგელობის დაკისრების შესახებ. 5. სენატის 2018 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება N5/8 "პლაგიატის პრევენციისა და რეგულაციის წესის" დამტკიცების შესახებ. 6. სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება 3/3 სასწავლო პროცესის პროცედურისა და სამაგისტრო საფეხურის დამტკიცების შესახებ. http://bsma.edu.ge/upload/samagistro_swavlebis_safexuri_2018.pdf 7. სენატის 2018 წლის თებერვლის გადაწყვეტილება N3/5 უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის წესის დამტკიცების შესახებ. 8. სენატის 2018 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება N 5/5 საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ. 9. სენატის 2018 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N 1/2 ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ. 10. დეკანის მოადგილის, ოფიცერ-კოორდინატორის, ადამიანური რესურსის მართვისა და შიდა კონტროლის მენეჯერის უფლებამოსილების პირობები. 11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის ბრძანება №1- 1/1439 "ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ". http://bsma.edu.ge/upload/wesdeba_.pdf
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების

პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი : ვიზიტის დროს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროგრამის განვითარება და მასში მონაწილე სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა სწავლის შედეგები. ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისა და სხვადასხვა კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, რომ პროგრამა შემუშავდა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური პერსონალი, თანამშრომლები, სტუდენტები და აკადემიის კურსდამთავრებულები. აკადემია დიდ ყურადღებას უთმობს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობას. ვიზიტის დროს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. აკადემია იყენებს გამოკითხვებს პროგრამების შეფასების, დაგეგმვისა და შემუშავებისთვის. (http://graduate.bsma.edu.ge/, http://bsma.edu.ge/upload/Alumni.pdf.). როგორც გამოკითხვებიდან ჩანს, საჭიროა მეტი პრაქტიკა, მეტი ინგლისური კურსები და მეტი ახალი, თანამედროვე პროგრამები. აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლებსა და შემფასებელთა ჯგუფს შორის შეხვედრიდან დადასტურდა, რომ მათ კარგად ესმით აკადემიის მისია. ისინი მონაწილეობას იღებენ ყოველდღიურ აკადემიურ ცხოვრებაში. ჩანს, რომ ყველა მხარე კმაყოფილია თანამშრომლობით. აკადემიას აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. ფაკულტეტის თანახმად, არსებობს ამჟამად რეგულირებადი და არარეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამები. საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტს აქვს 4 საბაკალავრო პროგრამა (მათ შორის სამი რეგულირებადი: საზღვაო ნავიგაცია, გემის მექანიკა და გემის ელექტრომექანიკა) და 2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე მოქმედებს 5 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და ერთლწიანი საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ ენაში მოსამზადებლად. პროგრამების შეცვლის/გაუქმების შემთხვევებში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა უპრობლემოდ დაასრულონ საგანმანათლებლო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კუთხით აკადემია იცავს თანმიმდევრულ მიდგომას. გათვალისწინებული და გამოყენებულია სწავლის შედეგები. თუმცა, ლექციებსა და კურსებზე ფოკუსი სხვადასხვა რამეზე კეთდება, ზოგიერთი სასწავლო პერსონალი შეფასების დროს უფრო მეტ ყურადღებას ცოდნას ანიჭებს, ვიდრე უნარებსა და კომპეტენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. "საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და განვითარების წესი" დამტკიცდა 2016 წლის 2 ნოემბერს.
2. "სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და განვითარების წესი" დამტკიცდა 2016 წლის 2 ნოემბერს.
3. სენატის 2017 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება N14/2 "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,
   შემუშავებისა და განვითარების შესახებ";
4. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი; დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; სტუდენტების
   გამოკითხვის შედეგების ანალიზი; სტუდენტების მიღწევების მონიტორინგი:

- http://graduate.bsma.edu.ge/
- http://employer.bsma.edu.ge/graduate.php
- http://bsma.edu.ge/upload/Alumni.pdf
- http://employer.bsma.edu.ge/
- http://employer.bsma.edu.ge/employer.php
- http://bsma.edu.ge/upload/Employers.pdf
- http://bsma.edu.ge/upload/Academic%20Staff.pdf
- http://bsma.edu.ge/upload/Administrative%20Staff.pdf
- http://bsma.edu.ge/upload/Students.pdf
- http://bsma.edu.ge/upload/Lecturers.pdf
- http://bsma.edu.ge/upload/Library-students.pdf
- http://bsma.edu.ge/upload/Material%20resources.pdf
- http://bsma.edu.ge/upload/2015-2018%20Statistics-%20Business.pdf

- http://bsma.edu.ge/upload/2015-2018%20Statistics%20MF.pdf
- http://bsma.edu.ge/upload/Abroad.pdf
- http://bsma.edu.ge/upload/Master%20survey.pdf

რეკომენდაციები:

პროგრამების შემუშავებაში ჩართეთ მეტი სტუდენტი და გაითვალისწინეთ მათი ინტერესი ინგლისური ენის სწავლების კუთხით.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები დამკვიდრებულია დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ივნისის ბრძანებით N371. მახასიათებლები მომდინარეობს 1978 წლის საერთაშორისო კონვენციიდან მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის შესახებ (STCW). საგანმანათლებლო პროგრამებში სათანადო ცვლილებები განხორციელდა სენატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით N 12/6. შედეგად, რეგულირებადი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და დარგის მახასიათებლებს.

ზემოთ ხსენებული წესის თანახმად, საბაკალავრო პროგრამებზე კრედიტების მოცულობა არ უნდა იყოს 240-ზე (ECTS) ნაკლები, ხოლო სამაგისტრო პროგრამებზე 120-ზე (ECTS) ნაკლები (ამაში შედის კვლევითი კომპონენტის მოცულობა, რომელიც არ უნდა იყოს 25%-ზე ნაკლები).

იმისათვის, რომ ამან იმუშავოს, აუცილებელია რომ სასწავლო პერსონალს ჰქონდეს სათანადო უნარები, რათა გამოიყენოს სწავლა-სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდები. აუდიტის დროს ნათელი გახდა, რომ სასწავლო პერსონალის შესაძლებლობებში არსებობს მრავალფეროვნება ამის განსახორციელებლად.

აკადემიას ჰყავს 10 უცხოელი სტუდენტი (თურქეთიდან), თუმცა აკადემიას არ აქვს პროგრამები ინგლისურ ენაზე და ეს სტუდენტები ქართულ ენაზე სწავლობენ. აკადემიის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ამ სტუდენტებმა იციან ქართული ენა.

საზღვაო პროგრამები შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ხომალდზე, როგორც მიღებული საზღვაო სამსახური. სავალდებულო პრაქტიკა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილია, მოიცავს 30 ECTS კრედიტს (ზღვაში გასვლითი სამსახურის 6 თვის ტოლფასი) და ხორციელდება აკადემიის სასწავლო ხომალდზე. თუმცა, არ გვაქვს მტკიცებულება, რომ ეს პრაქტიკა ხორციელდება სტრუქტურირებული და დაგეგმილი სილაბუსის მიხედვით, სადაც მიღწევადი სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდები უნდა იყოს გაწერილი. ასევე არ არსებობს პროცედურები სახელმძღვანელოს სახით პრაქტიკის მეორე ნაწილისთვის, რომელიც აუცილებელია სასერთიფიკატო მიზნებისთვის.

საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს უფლება მოითხოვოს ინდივიდუალური პროგრამა, თუმცა არცერთ სტუდენტს არ გამოუყენებია ეს უფლება პრაქტიკაში მთელი წლის განმავლობაში.

დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ძირითად ინფორმაციას აკადემიის ვებგვერდზე.

აკადემიამ უნდა შეცვალოს მისი პროგრამის სტრუქტურა. მაგალითად, სამაგისტრო პროგრამას "გემის ძალა და ელექტრული სისტემები და დანადგარები" აქვს არჩევითი ბლოკი პირველ სემესტრში, სადაც ერთი კურსი "მაღალი ძაბვის ელექტრო მოწყობილობები" სავალდებულოა, ხოლო მეორე კურსი "ტექნიკური თერმოდინამიკა" - არჩევითი, ეს კურსი წარმოადგენს მეორე და მესამე სემესტრის საგნების წინაპირობას: "გემის ტურბომანქანების თეორია და ანალიზი", "შიდა წვის სითბური პროცესები და მათი ანგარიში" და "ორთქლის გენერატორების თეორია და სითბური გამოთვლები." შესაბამისად, თუკი სტუდენტი აირჩევს "მაღალი ძაბვის ელექტრო მოწყობილობების" კურსს, იგი ვერ შეძლებს აღნიშნული სამი საგნის არჩევას.

დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ძირითად ინფორმაციას აკადემიის ვებგვერდზე.http://www.bsma.edu.ge. პროგრამის შესახებ ინფორმაცია უფრო ამომწურავი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომავალი სტუდენტებისთვის, რათა მათ უკეთ გააანალიზონ და გაიგონ ის კომპეტენციები და უნარები, რომლის შეძენაც შეუძლიათ შესაბამის პროგრამაზე/საგანზე. ეს დაეხმარება მათ პროგრამის სწორად შერჩევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლს 5 დეკემბრის განკარგულება N121/ნ
   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ;
2. სენატის 2017 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება N14/2 "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,
   შემუშავებისა და განვითარების შესახებ";
3. http://bsma.edu.ge/upload/F-O9.pdf
4. 2016 წლის 20 სექტემბრის სასწავლო პროცესის პროცედურა; საბაკალავრო სწავლის საფეხური.
5. 2016 წლის 20 სექტემბრის სასწავლო პროცესის პროცედურა; სამაგისტრო საფეხური;
6. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ივნისის ბრძანება N371 საზღვაო ნავიგაციის, საზღვაო ელექტრო ინჟინერიისა და საზღვაო ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების შესახებ;
7. სენატის 2017 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება N7/1 " აკადემიის 2017-2018 წლის სასწავლო კალენდრის დამტკიცების შესახებ"
8. http://bsma.edu.ge/upload/2017-2018%20Learning_Year_Calendar.modificirebuli.pdf
9. საგანმანათლებლო პროგრამა; სილაბუსები;
10. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_90_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_91_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_92_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_94_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_98_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_97_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_1140_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_96_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_95_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_908_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_1042_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_101_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_102_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_1200_1.pdf
- http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_1081_1.pdf

რეკომენდაციები:

1. აკადემია საჭიროებს სისტემურ და დამკვიდრებულ პროცედურას საზღვაო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტისთვის, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელი უნარების განვითარებას,
2. აკადემიამ უნდა გაითვალისწინოს საგანმანათლებლო პროგრამის ან შერჩეული საგნების ინგლისურ ენაზე სწავლება.
3. აკადემიამ მხედველობაში უნდა მიიღოს, პროგრამების სახელწოდებებისა და სილაბუსების მითითება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

რჩევები:

1. აკადემიამ უნდა გაითვალისწინოს საგანმანათლებლო პოგრამის ან შერჩეული საგნების ინგლისურ ენაზე სწავლება.
2. აკადემიამ მხედველობაში უნდა მიიღოს პროგრამების სახელწოდებებისა და სილაბუსების მითითება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

აკადემიაში სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ასახულია შემდგომ წესებში: "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება", "გამოცდისა და შეფასების პროცედურები","სასწავლო პროცესის პროცედურები, საბაკალავრო სწავლების საფეხური", "სასწავლო პროცესის პროცედურები, სამაგისტრო სწავლების საფეხური". მოცემული პროცედურები რეგულარულად განახლებადია, ამისათვის გამოიყენება სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვები. აკადემიური მიღწევების ანალიზის შედეგებზე ასევე გავლენას ახდენს შეფასების სისტემის განვითარება.

შეფასების სისტემა თავისი სტრუქტურით შედგება ორი ნაწილისგან - სტუდენტთა მიმდინარე (მათ შორის 3 შუალედური გამოცდა 5 კვირიანი ინტერვალებით) და ფინალური გამოცდა (40 ქულა). ამის ჯამი წარმოადგენს სტუდენტის აკადემიური კომპონენტის საბოლოო შეფასებას და ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ჩარჩოს მოთხოვნების მიუხედავად, სილაბუსში ავტორი/განმახორციელებელი პირი თავისუფალია განსაზღვროს დარგის სპეციფიკა, ადეკვატური ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. ამას მხარს უჭერს შეფასების ჩარჩო სისტემის ძირითადი ელემენტები. კერძოდ, სტუდენტების ხუთ-კვირიანი შეფასების სქემა, შეჯამების ელექტრონული მექანიზმი, ფინალური გამოცდის ძირითადად წერითი და ცენტრალიზებული ფორმით შესრულება და შეფასების ანონიმური პროცედურა.

თუკი სტუდენტები არ ეთანხმებიან მიღებულ შეფასებას, უკმაყოფილო სტუდენტები სპონტანურად მიმართავენ დეკანს, რომელიც მოქმედებს დამკვიდრებული პრაქტიკისა და ზოგადი კანონმდებლობის საფუძველზე.

აკადემიას აქვს ისეთი ელექტრონული სერვისი, როგორიცაა ელექტრონული ჟურნალი. მასში არის ინფორმაცია სასწავლო კომპონენტებზე, მის კონტენტზე, ამოცანებზე, მეთოდებზე, შეფასების წესებზე (სილაბუსიდან), განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე, გამოკითხვებსა და სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვან სხვა ფაქტორებზე. სტუდენტებს აქვთ ამ სისტემაზე წვდომა. მასში შესვლა ხდება ინდივიდუალურად, პირადი მონაცემებისა და პარილის გამოყენებით. ეს სისტემა სტუდენტს საშუალებას აძლევს მიიღოს დროული ინფორმაცია და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება (გაასაჩივროს, მოითხოვოს კონსულტაცია კომპეტენტური პირისგან და ა.შ.).

აკადემიას აქვს სტუდენთა გამოკითხვები(http://bsma.edu.ge/upload/Students.pdf) და სტუდენტები ახორციელებენ უკუკავშირს თავიანთი საჭიროებების შესახებ (ინფორმაცია ქულებზე, ბიბლიოთეკაზე, ინტერნეტზე, სტუდენტების თვითმმართველობაზე).

სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობას ზედამხედველობის ქვეშ გადიან, ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ სტუდენტები რაც შეიძლება მაქსიმალურად აითვისებენ უნარებსა და ინფორმაციას. მათ პრაქტიკის აღრიცხვის ჟურნალი უფროსი ოფიცრების/ზედამხედველების მიერ დადასტურებული დავალებებით უნდა შეავსონ. დადასტურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დავალება სათანადოდ არის შესრულებული ან სტუდენტი ახდენს კონკრეტული დავალების შესრულების შესაძლებლობის დემონსტრაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სენატის 2017 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება N14/2 "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის შესახებ".
2. სენატის 2017 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1 "გამოცდების ჩატარებისა და შეფასების
   პროცედურის შესახებ; http://bsma.edu.ge/upload/F-O9.pdf
3. http://bsma.edu.ge/upload/daskvniti_gamocdebis_chatarebis_procedura.pdf

4. სენატის 2016 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება N11/3 "პროგრამის თავსებადობის განსაზღვრისა და კრედიტების აღიარების წესის შესახებ". 5. საგანმანათლებლო პროგრამა; სილაბუსები; 6. "სასწავლო პროცესის პროცედურა. საბაკალავრო სწავლების საფეხური (სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N3/3); 7. "სასწავლო პროცესის პროცედურა. სამაგისტრო სწავლების საფეხური" (სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N3/3) 8. ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

2018 წლის თებერვალში აკადემიამ შეიმუშავა და განახორციელა ახალი რეგულაცია. წესი ამკვიდრებს ადამიანური რესურსების მართვის პროცედურებს და განსაზღვრავს მის პოლიტიკას. იგი შეიცავს პერსონალის მართვის მთავარ პრინციპებსა და მოთხოვნებს, როგორიცაა პერსონალის შერჩევის პროცედურები, მოზიდვა, დასაქმება, მოტივირება, წახალისება, როტაცია, პერსონალის განვითარება, გადამზადება, შეფასება, სოციალური პოლიტიკა, შიდა კომუნიკაცია, კორპორატიული ეთიკა.

აკადემია ხაზს უსვამს აკადემიური პერსონალის მნიშვნელობას, რაც უზრუნველყოფილია სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი სამიზნე მისიით. კერძოდ, მისია 7 გულისხმობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, განვითარებისა და შეფასების მექანიზმების ხელშეწყობასა და გაუმჯობესებას, ეს შესაბამისად გადანაწილებულია სამწლიან სამოქმედო გეგმაში. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე თვის წინ, აკადემიამ შეიმუშავა რეგულირებადი მიდგომა და სტრატეგია თავისი პერსონალის პროფესიონალური განვითარებისთვის, რომელიც არ იძლევა აღნიშნული სტრატეგიის ეფექტურობის შეფასების საშუალებას. ნათლად არ არის მოცემული, თუ როგორ ეხმარება აკადემია თავის სასწავლო პერსონალს, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ კვლევით საქმიანობაში ან იყენებდნენ თანამედროვე უნარებსა და ცოდნას.

აკადემია მხარს უჭერს გამჭვირვალობასა და თანასწორობას პერსონალის დასაქმების პროცესში, რომელიც მთელი პერსონალისთვის , როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული და დამხმარე პერსონალისთვის ღია კონკურსის გზით ხდება. ადმინისტრაციული თანამდებობების უმრავლესობა არჩევითია.

აკადემიამ დაამკვიდრა სპეციალური წესები აკადემიური და სასწავლო პერსონალის დასაქმებისთვის. შერჩევა ხდება ღია კონკურსის გზით, სადაც მოწვეულია დამოუკიდებელი კომისია; გადაწყვეტილებას იღებს სენატი, რის შემდეგაც იგი გამოქვეყნდება. სენატის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული ერთეულისთვის დაწესებულია და დადასტურებულია სენატის მიერ. ადმინისტრაციული და დამხმარე ერთეულების თითოეული თანამშრომელი კარგად იცნობს თავის მოვალეობებსა და ვალდებულებებს, რაც გაწერილია სამუშაოს აღწერაში. სამუშაოს აღწერის ფორმა მკაფიოდ განსაზღვრავს ფუნქციებს, ვალდებულებებსა და პერსონალის ანგარიშვალდებულებას. თუმცა, აკადემიური პერსონალის დასაქმება ხდება კონტრაქტის საფუძველზე და მათი ზოგადი მოვალეობები, ვალდებულებები, ფუნქციები, სამუშაო დატვირთვა და ანაზღაურების პირობები განსაზღვრულია ცალკეული წესით. ამასთან ერთად, სამუშაო დატვირთვა იყოფა კატეგორიებად (A, B, C), იმის შესაბამისად არის თუ არა აკადემიური პერსონალი დანიშნული დამატებით ადმინისტრაციულ ან დამხმარე ერთეულში, თუმცა არ არის კონკრეტული განსაზღვრება ამ დამატებითი პოზიციისა, მაგალითად პროგრამის ხელმძღვანელი და ა.შ.. მოცემულ დოკუმენტაციაში ასევე არ ჩანს თუ როგორ და სად არის განსაზღვრული ფუნქციები, ვალდებულებები და მოვალეობები დეკანებისთვის, პროგრამის ხელმძღვანელებისთვის და თუ როგორ ფასდება მათი სამუშაო.

აკადემიური დამოუკიდებლობა ხელშეუხებელი და დაცულია. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პერსონალი მოტივირებული და თავდადებულია თავისი საქმისთვის. უფრო მეტიც, ისინი მონაწილეობას იღებენ პრობლემატური საკითხების განხილვაში, იცნობენ სტრატეგიულ გეგმას და ღიად გამოხატავენ თავიანთ იდეებსა თუ სურვილებს პროგრამებთან, სასწავლო პროცესთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემია ცდილობს ჩართოს სასწავლო პერსონალი ინდუსტრიიდან; ეს განზრახვა მითითებულია "ადამიანური რესურსების მართვის პროცედურისა და პოლიტიკის" წესში. ხელმძღვანელობის დონეზე მყოფ მოქმედ მეზღვაურებს შეუძლიათ ღირებული ინოვაციებისა და სტუდენტებისა და პროგრამების განვითარებისთვის საჭირო აუცილებელი გამოცდილების მოტანა. ამ პრაქტიკის მოწმე გავხდით ინტერვიუს დროს.

აფილირების პირობები განსაზღვრულია ცალკეული წესით, რომელიც ავალდებულებს აკადემიურ პერსონალს ხელი მოაწერონ აფილირების ხელშეკრულებას და ჩაატარონ სააუდიტორიო სალექციო საათები და აკადემიური-სამეცნიერო საქმიანობები.

არსებობს პერსონალის შეფასების დამკვიდრებული ცალკეული რეგულაცია. აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება "აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის" შესაბამისად. აღნიშნული წესი ავალდებულებს აკადემიურ პერსონალს შეადგინონ თვითშეფასების ანგარიში წელიწადში ერთხელ, რაც შემდეგ შეფასდება შემფასებელი კომისიის მიერ, რომელიც მოქმედებს 3 წლის ვადით, რექტორის ბრძანების საფუძველზე. გარდა თვითშეფასების ანგარიშისა, შეფასების დროს გათვალისწინებულია სხვა გამოკითხვებიც, მაგალითად სტუდენტთა გამოკითხვა, ხარისხის უზრუნველყოგის სამსახური, სასწავლო პროცესის მონიტორინგის შეფასება. წესი ასევე განსაზღვრავს გარკვეული სახის სამიზნე ნიშნულებს აკადემიური პერსონალისა და მათი შესრულებული სამუშაოსთვის. მართალია წესი არსებობს, თუმცა მკაფიოდ არ არის განსაზღვრული თუ როგორ ხდება შეფასების მონაცემთა ანალიზი, როგორ მიეწოდება სათანადო უკუკავშირი პერსონალს, რა შემდგომი ნაბიჯები მიიღება შეფასების შემდეგ. უფრო მეტიც, არ არსებობს ცალკეული წესი მოწვეული სასწავლო პერსონალის შეფასებისთვის. ეს პერსონალი 77 პირისგან შედგება და აღემატება აკადემიურ პერსონალს.

ასევე არ არის განსაზღვრული თუ როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელების, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის საქმიანობის შეფასება. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების შესახებ რეგულაცია არასაკმარისი და გაუგებარია. ნათქვამია, რომ სტრუქტურული ერთეული თავად ახორციელებს თავისი პერსონალის შეფასებას და რომ ანგარიში წარედგინება რექტორს/სენატს, თუმცა არ არის მითითებული თუ როგორ ხდება უკუკავშირის გაცემა, გავრცელება, განხილვა და ანალიზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პერსონალის მართვის პროცედურა, 2015 წლის 2 მარტი; http://bsma.edu.ge/upload/2-O09.pdf
2. სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N3/3 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ; http://bsma.edu.ge/upload/personalis_martvis_politika.pdf
3. სენატის 2017 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება N4/2, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ; http://bsma.edu.ge/upload/acad_wesi.pdf
4. სენატის 2015 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება N13/1 აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;
5. მოწვეული მასწავლებლების შერჩევის წესი (N7/10 გადაწყვეტილების 2017 წლის 18 ივლისის გამოცემა);
6. სენატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N3/4 აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ; http://bsma.edu.ge/upload/datvirtvisa_da_anazgaurebis_wesi.pdf
7. სენატის 2017 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება N11/12 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის" შესახებ; http://bsma.edu.ge/upload/Academic efficiancy.pdf
8. სენატის 2018 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N1/3 სენატში ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლების არჩევნების წესის და საარჩევნო პროცედურის შესახებ. http://bsma.edu.ge/upload/O 2-O04-05 senatishi arch.pdf
9. პერსონალის პირადი საქმეები
10. ინფორმაცია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გადანაწილების შესახებ, ასაკისა და სქესის მიხედვით.

რეკომენდაციები:

1. აკადემია საჭიროებს ცალკეული რეგულაციის შემოღებას მოწვეული სასწავლო პერსონალის შეფასების მიზნით.
2. აკადემიამ უნდა დაამკვიდროს პერსონალის შეფასების შემდგომი კონტროლი და ანალიზის სისტემა, ასევე უკუკავშირი, რომლითაც პროცედურების შესახებ ანგარიში ბარდება მენეჯერებს.
3. აკადემია საჭიროებს უფრო სისტემატურ მიდგომას პერსონალის მომზადების დაგეგმვაში.
4. აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სპეციალური წესი დამატებითი თანამდებობების ფუნქციების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრისას, ისეთ პოზიციებზე როგორიცაა, პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასევე დეკანები და მათი შეფასების პროცედურები.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

- უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

აკადემიას დაქირავებული ჰყავს 72 აკადემიური აფილირებული პერსონალი და 77 მოწვეული სასწავლო პერსონალი. არსებობს ორი მთავარი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს აკადემიურ დატვირთვას და ანაზღაურების ოდენობას აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის. ერთ-ერთი მათგანი არის მეთოდოლოგია, რომელიც აკადემიური პერსონალის რაოდენობას განსაზღვრავს. ამ მეთოდოლოგიის თანახმად, აკადემიური პერსონალის რაოდენობა, ავტორიზაციის პერიოდისთვის, განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე 3 წლის ვადით დანიშნული კომისიის მიერ. კომისია მხედველობაში იღებს სტუდენტების რაოდენობას, აკადემიურ წელს, საგანმანათლებლო პროგრამების ხასიათს, ბიუჯეტს და ფინანსურ შესაძლებლობებს. თუმცა, წესი უფრო ზოგადია და არ აკონკრეტებს ზუსტ ნიშნულებს აკადემიური პერსონალის საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მიზნით. იგი არ ასახავს მოთხოვნილ კონკრეტულ თანაფარდობას სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ან თანაფარდობას სტუდენტსა და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის. წესის თანახმად, საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის შესამუშავებლად და განსახორციელებლად საჭიროა სულ მცირე 1 პროფესორი და 2 ასოცირებული პროფესორი, წესი ასევე ითვალისწინებს ბიუჯეტს, მახასიათებლებს, კვლევის საჭიროებასა და პროგრამის სტრუქტურას.

მეორე მთავარი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის აკადემიურ დატვირთვას არის წესი "აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ". აღნიშნული წესის მე-3 რეგულაცია განსაზღვრავს, რომ სტუდენტთა აკადემიური ჯგუფი შედგება არანაკლებ 16 და არაუმეტეს 30 სტუდენტისგან. იმავდროულად, იმავე წესის მე-4 რეგულაციაში აღნიშნულია, რომ "20 სტუდენტზე ნაკლებ აკადემიურ ჯგუფში ჩატარებული საათები არ ითვლება აკადემიური პერსონალის დატვირთვაში "- ეს ორი რეგულაცია ერთმანეთთან კონფლიქტშია. ამავე წესის რეგულაცია N8, რომელიც მოწვეული სასწავლო პერსონალისთვის ანაზღაურების შეზღუდვებს შეეხება, ასევე გაუგებარია.

ინტერვიუს დროს, აკადემიურ ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა გასაგებად არ აუხსნია არც ადამიანური რესურსების პერსონალს და არც აკადემიურ პერსონალს. ეს ნიშნავს, რომ აკადემიური დატვირთვის გადანაწილება შესაძლოა გარკვეულ უზუსტობებთანაა კავშირში. სტანდარტის თანახმად, პერსონალის აკადემიური დატვირთვის რაოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას და კვლევისა თუ სხვა აქტივობებისა და მათზე ნაკისრი მოვალეობების სათანადო შესრულებას. უსდ-მ უნდა განაახლოს აკადემიური დატვირთვის სქემა ყოველ სემესტრში.

არსებობს რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს დატვირთვას ლექციებისთვის და ვალდებულებას, რომ ჩატარდეს სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობები. სრულ განაკვეთზე მომუშავე აფილირებული პერსონალის საკონტაქტო საათები შესაძლოა იყოს 340 საათი. თუმცა, შეიძლება იყოს გარკვეული გამონაკლისები, აკადემიური პერსონალის აფილირების კატეგორიის მიხედვით.

აფილირების წესის თანახმად, თითოეულ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს აფილირების კონტრაქტი, რასაც მოწმობს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

აკადემიამ შეიმუშავა აკადემიური პერსონალის შენარჩუნების რეგულაცია, სადაც მითითებულია შესაძლო აქტივობები, რომელიც აკადემიას თავიდან ააცილებს პერსონალის დინების მაღალ კოეფიციენტს. ეს აქტივობები ასახულია სამწლიან სამოქმედო გეგმაში. აკადემია, თავის სტრატეგიულ გეგმაში, ხაზს უსვამს მაღალი პროფესიონალიზმის მქონე აკადემიური პერსონალის ჩართულობის მნიშვნელობას საგანმანათლებლო პროცესში, თუმცა არ არსებობს ცალკეული პოლიტიკა ახალგაზრდა პერსონალის მოსაზიდად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სენატის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტიება N 13/7 აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და წესის დამტკიცების შესახებ; http://bsma.edu.ge/upload/Academic staff quantity procedure.pdf
2. სენატის 2015 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება N 13/1 აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;
3. სენატის 2017 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება N 11/12 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის" შესახებ; http://bsma.edu.ge/upload/Academic efficiancy.pdf
4. სენატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 3/4 აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ; http://bsma.edu.ge/upload/datvirtvisa_da_anazgaurebis_wesi.pdf
5. ინდივიდუალური აკადემიური დატვირთვის სქემა (მოქმედი ფორმა).

რეკომენდაციები:

1. აკადემიამ უნდა გადახედოს და შეასწოროს წესი "აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" და დაამკვიდროს სტუდენტთა აკადემიური ჯგუფის ზუსტი რაოდენობა, რაც წარმოადგენს სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს.
2. აკადემიამ უნდა გადახედოს და შეასწოროს წესი "აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ" და განსაზღვროს უფრო კონკრეტული და ზუსტი სამიზნე ნიშნულები აკადემიური პერსონალის საჭირო რაოდენობის გამოსათვლელად, სხვადასხვა ტიპის თანაფარდობაზე დამყარებით,
3. მიზანშეწონილია, რომ შეიმუშავოთ და განახორციელოთ აკადემიური პერსონალის სამოტივაციო სისტემა მათი წახალისების მიზნით, განსაკუთრებით კი სამეცნიერო საქმიანობის კუთხით.

4. აკადემიამ უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს ახალი თაობის მოზიდვის პოლიტიკა, როგორც საგანმანათლებლო ისე კვლევით პროცესებში.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი : ვიზიტის დროს, ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ შეიმუშავა და გამოაქვეყნა დოკუმენტაცია სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილებისთვის. აკადემიას აქვს განათლების აღიარების ხელსაწყოები და პროცედურები და პოლიტიკა სტუდენტების უფლებების დასაცავად. ეს დოკუმენტები გამოქვეყნებულია ბსსა-ს ვებგვერდზე და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ინტერვიუს დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ბსსა-ში გამართული პირველი შეხვედრის დროს აცნობეს ამ დოკუმენტების არსებობის შესახებ. სტუდენტებმა ასევე თქვეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა შეავსონ ლექტორების შეფასების ფორმა ონლაინ რეჟიმში. ასევე მათ აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ თავიანთი ნიშნები პროფესორებთან, თუკი ისინი უკმაყოფილოები არიან შეფასებით და უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, ფაკულტეტი ვალდებულია შექმნას საბჭო, რომელიც საკითხს ხელახლა განიხილავს. აკადემიაში არის თვითმმართველობა, რომელიც ატარებს შეხვედრებს სტუდენტებთან, რომ განიხილონ მათი პრობლემური საკითხები, რაც შემდეგ განიხილება საბჭოს შეხვედრაზე. ექსპერტებმა შეამოწმეს პროფესიული, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კონტრაქტის ფორმა . ისინი შედგენილია სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების მხარდაჭერის საფუძველზე. მაგალითად: კონტრაქტში არის თავი, რომელიც მიუთითებს, რომ სტუდენტს აქვს უფლება ჰქონდეს გადახდის მოქნილი განრიგი ან შესაძლებლობა, რომ მიიღოს შეღავათები და სტიპენდია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში. ასევე, კონტრაქტის თანახმად, სტუდენტებს აქვთ უფლება იყვნენ ნებისმიერი სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, გამოიყენონ მობილობა და შეიცვალონ ფაკულტეტი თუ უნივერსიტეტი, აიღონ აკადემიური დასვენება, შეაფასონ აკადემიური და მმართველი პერსონალი და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. http://bsma.edu.ge/upload/studentis_xelshekruleba_profesiuli.pdf 2. http://bsma.edu.ge/upload/Studentis_xelshekruleba.pdf 3. http://bsma.edu.ge/upload/Master%20agreement.pdf 4. http://bsma.edu.ge/upload/2-%20F13.pdf 5. http://bsma.edu.ge/upload/2-F02.pdf 6. http://bsma.edu.ge/upload/samagistro_swavlebis_safexuri_2018.pdf 7. http://bsma.edu.ge/upload/saswavlo_procesis_procedura._swavlebis_safexuri_frofe siuli_swavleba.pdf 8. http://bsma.edu.ge/upload/swavlebis_safexuri_bakalavriati_18.pdf 9. ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები: სტუდენტები უნდა იყვნენ კარგად ინფორმირებულები საგანმანათლებლო პროცესის, თავიანთი ვალდებულებების, მოვალეობების, პასუხისმგებლობის, როლისა და უფლებების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის,

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობისა და შეფასების დეპარტამენტში არის შესაბამისი პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია უზრუნველყოს საკონსულტაციო მომსახურება იმისათვის, რომ დაგეგმოს საგანმანათლებლო პროცესი და გააუმჯობესოს აკადემიური საქმიანობა. ისინი ეხმარებიან ახალ სტუდენტებს, რომ გამოიყენონ შიდა სასწავლო მენეტმენტის სისტემა, რომ დარეგისტრირდნენ ლექციებზე. ეს სისტემა ეხმარება სტუდენტებს შეამოწმონ საკუთარი ცხრილი, სტატუსი, ქულები, მიიღონ სასწავლო მასალები და ინფორმაცია თავიანთი ლექციების შესახებ. ეს ინფორმაცია ინტერვიუს დროს ყველა სტუდენტმა დაადასტურა და ჩვენმა ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა სასწავლო მენეჯმენტის სისტემა, ადგილზე.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას აქვს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, ეს ერთეული უზრუნველყოფს შეხვედრებს დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან, რათა კომუნიკაციის პროცესი ამ ორ მხარეს შორის უფრო მარტივი გახადოს. ბოლო შეხვედრა 2018 წლის დასაწყისში გაიმართა. ამ შეხვედრის შესახებ გამოქვეყნდა აკადემიის ვებგვერდზე და აღნიშნული ღონისძიების მთავარ მიზანს წარმოადგენდა უკუკავშირის მიღება ბსსა-ს პროგრამებზე, ასევე ინფორმაციის მიღება დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ახალი მოთხოვნების შესახებ, ასევე ნებისმიერი სიახლის მიღება რაც ბსსა-მ შესაძლოა გაითვალისწინოს პროგრამის განახლებისთვის. გარდა ამისა, აქტიურ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ბსსა-ს სასწავლო მენეჯმენტის სისტემა მმართველი და აკადემიური პერსონალის შეფასების მიზნით, ასევე დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით.

კარიერული მხარდაჭერის სამსახურს აქვს დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა, რომელიც ასევე საჯაროა ვებგვერდზე და მათ აქვთ მყარი კავშირები ვაკანსიებსა და სტაჟირებებზე. გარდა ამისა, სამსახური სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის და/ან ვებგვერდის მეშვეობით ატყობინებს მონაცემთა ბაზის გარეთ არსებული დამსაქმებლების მიერ გამოცხადებული ისეთი ახალი და მოქმედი ვაკანსიების და/ან სტაჟირების შესახებ, რომლებიც საინტერესო იქნება სტუდენტებისთვის. ასეთ ვაკანსიებს სამსახური პოულობს ინტერნეტით.

პროგრამაზე დაყრდნობით, სასწავლო პერიოდში განხორციელდა პრაქტიკა, რომელსაც დაეხმარა ფაკულტეტის სპეციალისტი.

ბსსა-ს აქვს დასაქმებული სტუდენტების კოეფიციენტი, რომელიც აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში. ინტერვიუს დროს ადმინისტრაციის წევრებმა ახსენეს, რომ მათ აქვთ უკუკავშირი სტუდენტებისგან, მათი დასაქმების შესახებ. ეს პროცესი არ არის სავალდებულო და ისინი არ ითხოვენ, რომ სტუდენტებმა ინფორმაცია მიაწოდონ ბსსა-ს. ეს პროცესი არ არის სავალდებულო და არის უამრავი კურსდამთავრებული, რომელიც არ იღებს მონაწილეობას ამ კვლევაში, შესაბამისად ეს რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური სიტუაციისგან.

ბსსა-ს სტუდენტები ძალიან აქტიურები არიან სხვადასხვა პროექტებზე. მთავარი ინიციატორი არის სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც გეგმავს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის სპორტულ ღონისძიებებს, ექსკურსიებს და სხვა. აკადემიაში ასევე არის სტუდენტების მიერ პროექტის პრეზენტაციის და დაფინანსების პროცედურა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს განახორციელონ საკუთარი პროექტები.

სტუდენტებს, რომელთაც აქვთ A ჯგუფის აკადემიური მიღწევები, დედმამიშვილებს, დაბალი სოციალური სტატუსის მქონე სტუდენტებს და სტუდენტებს მთიანი რეგიონიდან აქვთ ფასდაკლებები სწავლის გადასახადზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. http://bsma.ge/main/page/2-21/index.html
2. http://bsma.ge/main/page/1288/index.html
3. დანართი 1 (თვითშეფასება)

4. http://bsma.edu.ge/upload/Student%20Projects.pdf 5. http://bsma.ge/main/page/2-69/index.html 6. ინტერვიუ კარიერული მხარდაჭერის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან და
რეკომენდაციები: კარიერული მხარდაჭერის სამსახურმა უნდა მოამზადოს კითხვარი, რომელიც გამოიყენება კვლევაში, რათა მიიღოთ უფრო მიახლოებითი სურათი კურსდამთავრებულთა დასაქმების კოეფიციენტის შესახებ. ამ დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს კონტაქტი თავის კურსდამთავრებულებთან და უკუკავშირის მოთხოვნა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის სავალდებულო უნდა იყოს და არა არჩევითი.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

აკადემიაში კვლევითი აქტივობები ხორციელდება შესაბამისი დონის სტატუსით. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შესრულების ფორმით (სამაგისტრო ნაშრომი) და აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობით.

სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტი, სტრუქტურა და შეფასება; სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და შეფასება; ნაშრომის დაცვის პროცედურები. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება უზრუნველყოფს მაგისტრანტების თეორიული ცოდნისა და კვლევითი უნარების დონის შესაბამისობას სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

აკადემია, როგორც სასწავლო უნივერსიტეტი, მონაწილეობას იღებს კვლევით საქმიანობაში, პირადი ინტერესის კვლევითი ნაშრომების ფორმით (2 პროექტი) და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებით.

აკადემიას არ აქვს სადოქტორო პროგრამა.

რამდენადაც აკადემიას არ აქვს სადოქტორო პროგრამა, რაც კვლევას ითვალისწინებს, აკადემიური პერსონალი ორიენტირებულია სწავლებაზე, თუმცა კვლევა მცირე დონეზე მაინც არის, რამდენადაც აკადემიას აქვს სამაგისტრო პროგრამები, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას საჭიროებს.

თუმცა, აკადემია სამომავლოდ გეგმავს სადოქტორო პროგრამის ინიცირებას, რამდენადაც თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება საჭიროებს უფრო და უფრო მეტ კვალიფიციურ პერსონალს, რაც თავის მხრივ ზრდის აკადემიური პერსონალის მოტივაციას, უფრო მეტად ჩართული იქნებიან დოქტორანტურის სტუდენტების მომზადებაში, რაც კვლევითი კომპონენტის გაზრდას გულისხმობს.

მართალია, აკადემიური პერსონალი ატარებს საინტერესო კვლევებს, თუმცა ისინი მცირე რაოდენობისაა და კვლევითი საქმიანობის მოტივირების მიზნით, აკადემიას განზრახული აქვს სათანადო ინტერაქტიული

ველის გახსნა ვებგვერდზე, სადაც დაინტერესებულ პირებს მიეცემათ საშუალება წამოაყენონ ისეთი საკითხები, რომლებიც კვლევითი პროექტის დაწყების საფუძველი შესაძლოა გახდეს.

თვითშეფასების ანგარიშში არ არის მითითებული ხელმძღვანელსა და მაგისტრანტთა შორის თანაფარდობა. ამიტომაც უნივერსიტეტმა შეაჩერა მაგისტრატურის სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. შინაგანაწესი http://bsma.edu.ge/upload/O02.pdf
2. პროცესის პროცედურა, სამაგისტრო სწავლების საფეხური. http://bsma.edu.ge/upload/O%202-F05.pdf
3. სენატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 3/4 აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;
4. სენატის 2017 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება N 11/12 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის" შესახებ;
5. კვლევითი აქტივობის ორგანიზებისთვის გათვალისწინებული ფინანსები.
6. გამოქვეყნებული საკონფერენციო მასალები.
7. სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები.

რეკომენდაციები:

აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომ დაეხმაროს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სწავლაში, რამდენადაც ისინი არიან მოქმედი მეზღვაურები და საჭიროებენ ინდივიდუალურ პროგრამებს.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

აკადემია სისტემატურად ახორციელებს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, გამიზნული დაფინანსებების გზით, ასევე გამოყოფს ბიუჯეტიდან თანხებს აკადემიური, სამეცნიერო კვლევითი მივლინებებისთვის, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოსაქვეყნებლად. თუმცა, სისტემატური ნორმატიული პროცედურა, გარდა ბიუჯეტის შემუშავებისა, რომელიც უზრუნველყოფს თანხების გამოყოფას სამეცნიერი-კვლევითი მიზნებისთვის, არ არის შემუშავებული. ამ მიმართულებით დაგეგმილია შესაბამისი სამუშაო ჯგუფების ფორმირება, ფაკულტეტების მიერ პრიორიტეტული საკვლევი მიმართულებების განსაზღვრა, სადოქტორო პროგრამების იდეების განხილვა და შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვა.

ამ ეტაპზე აკადემიას არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის ფინანსური მხარდაჭერისთვის, რაც აისახება ამ დარგში მიღწევებზე, თუმცა აკადემიის 3-წლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2020) ითვალისწინებს რთულ კვლევით აქტივობებს, განათლების ხარისხის გაზრდას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (მათ შორის საერთაშორისოსთან) თანამშრომლობის გაძლიერებას, ინგლისურენოვანი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების დამკვიდრებასა და განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სენატის 2018 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება N4/3 ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამკტიცების შესახებ; http://bsma.edu.ge/upload/ganvitarebis_strategiuli_gegma2018.pdf
2. სასწავლო პროცესის პროცედურა, სამაგისტრო სწავლების საფეხური. http://bsma.edu.ge/upload/O%202-F05.pdf
3. პროექტის მართვისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯერის სამუშაოს აღწერა;
4. სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N3/3 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურის შესახებ;
5. სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N3/5 იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წესდების დამტკიცების შესახებ.
6. ტრანსპორტისა და საქალაქო ლოჯისტიკის მაგისტრის ხელშეკრულების მინიჭება (ტრანსპორტისა და საქალაქო ლოჯისტიკის მაგისტრი);
7. სენატის 2017 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება N11/12 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის წესების დამტკიცების შესახებ;
8. სენატის 2018 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება N5/1 ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაზე;
9. სენატის 2018 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება N5/2 ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაზე.

რეკომენდაციები:

აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც შესაძლებელს გახდის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვას კვლევით პროექტებში, სამაგისტრო ნაშრომებზე ეფექტური ზეგავლენის მიზნით.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

კვლევითი საქმიანობის შეფასება აკადემიაში განვითარების საწყის ეტაპზეა. კვლევითი საქმიანობის პერსონალური შეფასების მარეგულირებელი ნორმები სხვადასხვა პროცედურებშია ინტეგრირებული (აკადემიური მიღწევის შეფასების წესი, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესი და ა.შ.). მოქმედი რეგულაციების თანახმად, აკადემიური პერსონალი ვალდებულია ყოველწლიურად დაგეგმოს თავისი კვლევითი საქმიანობა და სასწავლო წლის დასასრულს წარადგინოს თვითშეფასების ანგარიში. აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს ანალიზისა და შეფასების საგანს, რომელიც პირდაპირი წესით ხორციელდება ამ მიზნისთვის შექმნილი კომისიის მიერ. აღნიშნული წესი დამკვიდრდა 2017 წლიდან. მანამდე, კვლევითი საქმიანობის შეფასება არარეგულარული ფორმებით ხდებოდა აკადემიურ დეპარტამენტებში (სახელმძღვანელობით, მეთოდური ინსტრუქციებით, საკონფერენციო ანგარიშებით და ა.შ.) კვლევის შედეგების განხილვისა და აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სენატის 2017 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება N11/12 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის" შესახებ;; http://bsma.edu.ge/upload/akademiuri_saqmianobis_efeqturobis_shefasebis_wesi_ 2018.pdf 2. სენატის 2017 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება N4/2, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ; http://bsma.edu.ge/upload/acad_wesi.pdf 3. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების მონაცემები ფაკულტეტების მიხედვით 4. 2 კვლევითი პროექტი
რეკომენდაციები: აკადემიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომლითაც შესაძლებელი იქნება კვლევითი საქმიანობებისა და მათი იტნერნაციონალიზაციის შეფასება.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

აკადემიას საკმაოდ კარგად დამკვიდრებული მატერიალური რესურსი აქვს, რომელიც უზრუნველყოფს 2500 სტუდენტის სწავლებისა და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ პროცესს. შენობა და აუდიტორიები ადაპტირებულია ისე, რომ იქ შესაძლებელია თანამედროვე ტიპის ლექციების ჩატარება; ლაბორატორიები, სიმულატორები, ვორქშოფის აუდიტორიები კარგად არის განახლებული ახალი ინვენტარითა და აღჭურვილობით. აკადემიის საკუთრებაშია საწრთვნელი გემი, რომელსაც პრაქტიკებისთვის იყენებს. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს შენობისა და ხომალდის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ასევე ყველა საჭირო სანავიგაციო და ძრავის ტექნიკის დამონტაჟებას 2018 წელს. აკადემიას აქვს საკუთარი ელექტრომომარაგების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი შენობისთვის საკმარის ელექტროენერგიას.

აკადემიას აქვს ყველა საჭირო დოკუმენტი, ხელშეკრულებები ან/და მესაკუთრეობის აქტები მის განკარგულებაში არსებულ ქონებაზე.

სანიტარული სისტემა, წყალმომარაგება, გათბობისა და გაგრილების სისტემა სათანადო მდგომარეობაშია. სანიტარულ-ჰიგიენური ვითარება დამაკმაყოფილებელია. აკადემია მთელს პერიმეტრზე ახორციელებს ვიდეო კონტროლს.
აკადემიამ დანერგა ცალკეული სტრუქტურული ერთეული "უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახური", რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ფარგლებში სტუდენტებისა და პერსონალის დაცვასა და უსაფრთხოებას. სამსახურის მთავარი ფუნქციები განსაზღვრულია ცალკეულ რეგულაციაში და ჟღერს შემდეგნაირად: შინაგანაწესის დაცვის კონტროლი და მონიტორინგი, აკადემიის კუთვნილი მატერიალური რესურსების დაცვა, მორიგეობის უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაციის დროს აკადემიაში მყოფი თითოეული პირის ევაკუაცია, საწრთვნელი ევაკუაციის ჩატარება, სტუდენტებისთვის უსაფრთხოების მთავარი წესების გაცნობა, აკადემიის სტუმრებისა და შენობაში შემსვლელი პირების კონტროლი. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის ფარგლებში მუშაობს ერთი ექიმი და უსაფრთხოების 12 ოფიცერი. ექიმს აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ნივთებით. ექიმი ვალდებულია შეამოწმოს აუდიტორიები და დერეფნები, თუ რამდენად დაცულია იქ სანიტარული ნორმები. აკადემიას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, თუმცა მისი განახლება დაგეგმილია 2018 წელს.

აკადემიის გარემო ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. კიბე და სხვა კეთილმოწყობის საგნები ხელს უწყობენ სპეციალური საჭიროებების მქონე პირების თავისუფალ გადაადგილებას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოყოფილია სპეციალური სანიტარული დაწესებულებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. აზომვითი ნახაზები;
3. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს კომუნალური მომსახურების გადასახადების გადახდას;
4. შენობა-დაწესებულებების მდგომარეობის შეფასების აქტები;
5. დოკუმენტები, რომელიც მოწმობს აკადემიის მიერ ლიკვიდური აქტივების ფლობას;
6. დიზელის გენერატორის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
7. ხელშეკრულება - სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
8. ბრძანებები, რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს (მათ შორის სახანძრო უსაფრთხოებაზე);
9. დოკუმენტი, რომელიც მოწმობს აკადემიის მიერ საქვაბე აღჭურვილობის ფლობას;
10. ბრძანება სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
11. სენატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N3/5 უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის წესის დამტკიცების შესახებ.
12. სენატის 2018 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება N5/3 "სტუდენტების, მათ შორის პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ";
13. პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

აკადემიის ფიზიკური ინფრასტრუქტურა: საწვრთნელი გემი, ლაბორატორიები, სახელოსნოები, საწვრთნელი მოწყობილობა, სიმულატორები და ა.შ. მკაცრად არის განკუთვნილი სასურველი სასწავლო შედეგების მისაღწევად, საერთაშორისო რეკომენდაციების შესრულების მიზნით (ამ შემთხვევაში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის IMO).

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

O ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

აკადემიაში არის სათანადო საბიბლიოთეკო რესურსი, რომელიც აკმაყოფილებს სასწავლო შედეგების მოთხოვნებს. სტუდენტებს აქვთ მარტივი წვდომა ონლაინ ბიბლიოთეკის კატალოგთან, სადაც ყველას შეუძლია წიგნისა თუ სხვა სასწავლო მასალის მოძიება. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და იმ შემთხვევაში, როდესაც აკადემიის ბიბლიოთეკას არ აქვს საჭირო მასალები, ეროვნული ბიბლიოთეკა უგზავნის ფოსტის მეშვეობით.

თუმცა, ქართულენოვანი დარგობრივი წიგნების რაოდენობა შეზღუდული ჩანს.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია: ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით, ასევე კომბინირებულია სკანერისა და პრინტერის მოწყობილობებით, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტებისათვის.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში გამოყოფილია სპეციალური ოთახი შშმ პირებისთვის.

აკადემიას წვდომა აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკასთან. ყველა ბმული მითითებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე. თუმცა სტუდენტები არ არიან ინფორმირებული ამის შესახებ, რადგან ისინი არ ადასტურებენ საერთაშორისო საბიბლიოთეკო წყაროებთან დაკავშირების შესაძლებლობას, ამას გარდა ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელმა არ იცის

თუ როგორ გამოიყენოს ინტერნეტ ბაზები, შეგვხვდა ბიბლიოთეკარი, რომელმაც არ იცოდა როგორ გაეხსნა და გამოეყენებინა ონლაინ მონაცემთა ბაზა. ბიბლიოთეკის სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია გაარკვიოს თუ რომელი საბიბლიოთეკო რესურსია ვადაგასული და რომელი საჭიროებს განახლებას. იგი ადგენს ანგარიშს საბიბლიოთეკო რესურსის განახლების შესახებ და წარუდგენს რექტორს. ბიბლიოთეკას აქვს წიგნების, სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებული სტუდენტების სტატისტიკური მონაცემები. სტატისტიკურ მონაცემებში ასევე ჩანს თუ რამდენი წიგნი/სასწავლო მასალა გამოიყენეს დროის კონკრეტულ პერიოდში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები http://library.bsma.edu.ge/
რეკომენდაციები: ბიბლიოთეკის პერსონალი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უნდა აწვდიდეს მეტ ინფორმაციას საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკების და მათი გამოყენების წესების შესახებ, მანამდე კი უმჯობესი იქნება, თუკი ბიბლიოთეკის პერსონალი გადამზადებას გაივლის ამ სფეროში.
რჩევები: გაზარდეთ ქართულენოვანი დარგობრივი სახელმძღვანელობის რაოდენობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსები
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

ბსსა-ს ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მოთხოვნებს. აკადემიაში ფუნქციონირებს სპეციალური საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ვებგვერდთან და ინტერნეტთან (უსადენო ინტერნეტთან) ასევე კომპიუტერულ პროგრამებთან და მონაცემთა ბაზებთან (სერვერებთან) დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების გადაჭრაზე.

აკადემიის შენობის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს Wi-Fi, რომელიც ღიაა ყველასთვის. ინტერნეტ მომსახურებაზე კონტრაქტი გაფორმებულია "სილქნეტთან". ბსსა-ს აქვს სასწავლო მენეჯმენტის სისტემა, სადაც ხდება სტუდენტების რეგისტრაცია, ჩანს სალექციო ცხრილები (დრო, ლექტორის სახელი და აუდიტორიის ნომერი), სტუდენტები ამ სისტემაში ხედავენ შეფასებებსა და სასწავლო პროგრესს, ამავე სისტემიდან შეუძლიათ აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის შეფასება და სასწავლო მასალების მიღებაც. აკადემიური პერსონალი აღნიშნულ პროგრამას იყენებს ლექციების დასაგეგმად, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებთან კომუნიკაციისა და შეფასებების გაკეთების მიზნით. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეძლეს ამ პროგრამის შემოწმება. აკადემიას ხელშეკრულება აქვს იუსტიციის სახლთან ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაზე.

ვებგვერდი სრულყოფილად ფუნქციონირებს როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. განთავსებულია განახლებული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებული პირებისთვის (მაგალითად დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვა). ვებგვერდი შექმნილია ჰოსტინზე, რომელიც აკადემიამ შეიძინა "სილქნეტისგან".

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას აქვს სერვერები მონაცემთა ბაზებისთვის, რომელიც ქმნის სარკისებურ რეზერვს, რაც იმას ნიშნავს, რომ საგანგებო ვითარებაში, აკადემია შეძლებს მონაცემების აღდგენას სხვა მყარი დისკიდან და არ დაკარგავს მთლიან ინფორმაციას.

აკადემიას აქვს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომელშიც მითითებულია შესაძლო რისკები და საჭირო გამოსასწორებელი ქმედებები.

ტენდერები და გაფორმდა კონტრაქტები ახალი შიდა ქსელის, უსადენო ინტერნეტის გასაყვანად და პროგრამებისა დაცვისთვის ანტივირუსის დასაყენებლად, მონაცემთა ბაზებისთვის სერვერების

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ინტერვიუები;
2. მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
3. ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა
4. http://bsma.ge/
5. http://bsma.ge/main/page/2-21/index.html

შეფასება

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

7.4 ფინანსური რესურსები

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- [illegible]

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი :

აკადემიის ბიუჯეტი სათანადო წესის შესაბამისად არის მომზადებული, ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს. ბიუჯეტი შემდეგი წყაროებით ივსება: საკუთარი შემოსავლით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან), გრანტებით მიღებული ფინანსებიდან და სხვა დაფინანსების წყაროებიდან.

ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობას იღებენ აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ისინი წარადგენენ ინფორმაციას საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტში, რომელიც, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, განსაზღვრავს ბიუჯეტის პროექტს პრიორიტეტების შესაბამისად. ბიუჯეტის სამუშაო ვერსია წარედგინება სენატს.

აკადემიის ბიუჯეტის ფინანსები მიმართულია საგანმანათლებლო ფუნქციების უზრუნველსაყოფად. თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, ბიუჯეტის მთავარი ნაწილი გამოიყენება ინფრასტრუქტურული განვითარებისა და ადმინისტრაციული ფუნქციებისთვის. ამ ეტაპზე, აკადემიური აქტივობები, ინტერნაციონალიზაცია და კვლევა არ წარმოადგენს ბიუჯეტისთვის პრიორიტეტულ საგნებს. აკადემიის განვითარების ტენდენციები კარგად ჩანს 2013-2017 წლების ბიუჯეტის მზარდ დინამიკაში. 2013 წლიდან აკადემიის ბიუჯეტი თითქმის ორჯერ გაიზარდა (5 701 879 ლარიდან 9 326 031 ლარამდე). აკადემიისთვის რესურსების საჭიროებიდან გამომდინარე, სტრატეგიული გეგმა და აქტივობები ეტაპობრივად განხორციელდა და დაიგეგმა ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა მეზღვაურთა საწრთვნელი და სერტიფიცირების ცენტრის, აუზის, საერთო საცხოვრებლის, სახელოსნოების, სპორტული დარბაზის, სასწავლო კამპუსისა და აღჭურვილობის რეაბილიტაცია და ხელახალი აღჭურვა და განახლება. ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასწავლო მასალებისთვის გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს (წიგნების ფონდი, ელექტრონული ბიბლიოთეკები). აკადემიის ბიუჯეტის ანგარიშები და აუდიტის რეკომენდაციები ხელმისაწვდომია აკადემიის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ბიუჯეტის შედგენის წესი- http://bsma.edu.ge/upload/Budget%20procedure.pdf; 2. 2018 წლის ბიუჯეტი; 3. ანგარიშის პერიოდის ფინანსური მონაცემები; 4. განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია; 5. აკადემიის ვებგვერდი http://www.bsma.edu.ge/ 6. ტენდერის გამოცხადება და შედეგები- www.procurement.gov.ge; 7. შესყიდვების გეგმა; აუდიტის ანგარიშები; 8. ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშები. 9. ინტერვიუ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობასთან, სენატის წევრებთან და თვითშეფასებისა და სტრატეგიული განვითარების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: აკადემიური ბიუჯეტი პრიორიტიზირებული უნდა იყოს აკადემიური და კვლევითი საქმიანობისთვის.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართები